სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 45

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „არმია“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „არმია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	05/02/2025	მატჩის ადგილი	თბილისი, ჭალები
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	თბ „არმია“	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი - გიორგი ირემაშვილი	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს 1.3 პუნქტი	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	06/02/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის მწვრთნელი თ. ჯინაშვილი და გ.ლუაშვილი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 45

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

მატჩის მსაჯის გიორგი ირემაშვილი საჩივარი (ციტირება) - **თამაშის დაწყებისთანავე არმიის მწვრთნელები, თენგო ჯინაშვილი და დავით თარხნიშვილი, გამოირჩეოდნენ საჯარო აპელირებით, რომელიც ყოველგვარ ზღვარს ცდებოდა. ისინი იყვნენ უკონტროლო და რამდენჯერმე მომიწია იმაზე ყურადღების გამახვილება და მითითება რომ სტაფის ზონაში დარჩენილიყვნენ და შეენარჩუნებინათ სიმშვიდე. მიუხედავად გაფრთხილებისა მთელი თამაში განაგრძობდნენ ამ ყველაფერს, რასაც ტრიბუნის, კონკრეტულად, არმიის გულშემატკივარი მშობლების, აპელირება, უკონტროლო მდგომარეობა და მუქარა დაემატა ოფიციალური პირების მიმართ. მატჩის მეორე ნახევარში კვლავ გრზელდებოდა გარედან შემახილები, გინება და მუქარა, რაც მეორე ნახევრის ბოლო 15 წუთში მეტად გამძაფრდა. მოედანზე იყო ქაოსი, ყველა ჩვენს გადაწყვეტილებაზე მოედნის საფარზე ვხედავდი ახალ ახალ სახეებს, რომლებიც მუქაარის ტონით და შეურაცმჰყოფელი სიტყვებით გამოირჩეოდნენ. მუქარაში კონკრეტულად მოვიხსენიებ იმ ფაქტს შემდეგი სიტყვებით, ვციტირებ, „გამოდი ერთი გარეთ დროზე გელოდები, შე უზრდელო უნამუსო, მათ შორის დედის გინება და სხვა ბილწსიტყვაობა“. ამ კონკრეტულიდან გამომდინარე, როდესაც თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ხვამლმა მორიგი ლელო გაიტანა, მათი საქციელი როგორც გულშემატკივრების ყველარაირ ზღვარს გასცდა და მწვთნელებიან გულშემატკივრებიანა მოედანზე მოიყარა თავი სუყველამ, კომკრეტულ სათამაშო არეში, სადაც თავს დაგვესხნენ ოფიციალურ პირებს და ბილწი სიტყვებით ცდილობდნენ ჩვენს წყობიდან გამოყვანას. სწორედ ამიტომ მატჩის ყველა ოფიციალურ პირებთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება შემეწყვიტა თამაში, უკონტროლო სიტუაციისა და არასპორტული საქციელების გამო, რასაც მორიგი მუქარა და გინება მოჰყვა არმიის მწვრთნელებისა და მშობლების მხრიდან. მოედნიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ჩვენსკენ ოფიციალური პირებისკენ მუქარის შემცველი, შეურაცმჰყოფელი სიტყვებიდა ასევე გაწევ-გამოწევა რომ მეტად ახლო კონტაქტი დაემყარებინათ ჩვენთან. გავერიდეთ სიტუაციას ამის შემდეგ და როდესაც სტადიონიდან წამოვედი თურმე უკან გამომყოლია მანქანით არმიის ერთ-ერთი მშობელი, ვინმე, „დათო ირემაშვილი“, რომელმაც თავად მითხრა თავისი ინიციატივით სახელი და გვარი, როდესაც სახლისკენ მიმავალ გზაზე გაჩერებულ მანქანის ფანჯარაზე მომიკაკუნა და სცადა კვლავ აეხსნა რომ უზრდელი ვარ, ბოლო ლელო არ ითვლებოდა, უნამუსოდ მოვიქეცით და ა.შ. რა თქმა უნდა მას თავიდანვე გავუმახვილე ყურადღება იმაზე რომ პოლემიკაში მასთან შესვლას არ ვაპირებდი და გავერიდე სიტუაციას მანქანით მაშინვე. ამ ყველაფრის ამსახველ ვიდეომასალასაც გიგზავნით .**

მატჩის მეთვალყურის გოჩა კვაჭანტირაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - გოჩა კვაჭანტირაძის განცხადებით თამაშის დაწყებისთანავე „არმია“-ს მოთამაშეების

მშობლები/გულშემატკივრები და მწვრთნელები გამუდმებით აპროტესტებდნენ მსაჯების გადაწყვეტილებებს. პირად მან და მსაჯმაც ამის გამო გააფრთხილეს „არმია“-ს წარმომადგენლები და მოუწოდეს დაემშვიდებინათ მოთამაშეთა მშობლები. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, მას შემდეგ რაც „ხვამლმა“ მორიგი ლელო გაიტანა, „არმია“- ს მოთამაშეთა მშობლებმა აგრესიული, შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი სიტყვებით გააპროტესტეს მსაჯის გადაწყვეტილება. ლელო გააპროტესტა „არმია“-ს მწვრთნელმაც. სათამაშო მოედანზე შექმნილი უკონტროლო და თამაშში მონაწილე პირების უსაფრთხოების დარღვევის გამო, მატჩის მსაჯმა მასთან შეთანხმებით შეწყვიტა თამაში. გასახდელისკენ მიმავალ მსაჯს აედევნენ „არმია“-ს მშობლები შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეძახილებით.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „არმია“-ს მწვრთნელმა თ. ჯინაშვილმა აღიარა მსაჯის გადაწყვეტილებების გაპროტესტების ფაქტი, თუმცა მას პირადად მსაჯისგან შენიშვნა არ მიუღია. თ. ჯინაშვილის განცხადებით მან ერთხელ დატოვა ტექნიკური ზონა და გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება რაც ვიდეომასალით დასტურდება. თ. ჯინაშვილის განცხადებით მსაჯისგან შენიშვნაა მიიღო „არმია“-ს მეორე მწვრთნელმა დ. თარხნიშვილმა, რომელიც აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას. თ.ჯინაშვილი არ დაეთანხმა მსაჯის საჩივარში აღნიშნულ გარემოებას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ „არმია“-ს მოთამაშეთა მშობლები დედას აგინებდნენ მსაჯს. მისი განცხადებით მშობლები აგრესიულად აპროტესტებდნენ მსაჯის გადაწყვეტილებებს თუმცა დედის გინებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მსაჯის საჩივარში აღნიშნულ გარემოებას იმის შესახებ, რომ „ხვამლი“-ს ერთერთი მოთამაშის მშობელი ავტომობილით აედევნა მას სტადიონიდან წამოსვლის შემდეგ, მივიდა მის ავტომობილთან და თამაშის ერთერთი ეპიზოდის გარჩევა დაუწყო, თ.ჯინაშვილის განცხდებით აღნიშნული მოთამაშის მშობელი არ ადევნებია მსაჯს, მან შემთხვევით შეამჩნია მსაჯის გაჩერებული მანქანა და მივიდა მასთან სასაუბროდ.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისია სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილის და მათზე მსჯელობის შემდეგ

ა) დადგენილად ცნო გარემოება რომლის მიხედვით „არმია“-ს მოთამაშეთა მშობლების მხრიდან დაირღვა თამაშში მონაწილე პირების (ამ შემთხვევაში მსაჯები)უსაფრთხოება და დაეთანხმა მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ;

ბ) დადგენილად ცნო „არმია“-ს მწვრთნელების მხრიდან მსაჯის გადაწყვეტილებების გაპროტესტების ფაქტი.

სადისციპლინო კომისიამ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს 1.3 პუნქტის

(ერთერთი ან ორივე გუნდების წარმომადგენლების ან გულშემატკივრების მიერ რეგულარული ან სერიოზული ქცევის

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 45

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

კოდექსის დარღვევა ან არამართებული ქცევა,გახდა საფუძველი მატჩის ჩაშლისა/შეწყვეტისა და მსაჯის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო მართებული არსებული გარემოებებიდან გამომდინარე,) მიხედვით მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელს თ.ჯინაშვილს თბ „არმია“-ს ნებისმიერი დონის გუნდის თამაშის დროს აეკრძალოს სათამაშო სივრცეში ყოფნა 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
2. თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელს დ. თარხნიშვილს თბ „არმია“-ს ნებისმიერი დონის გუნდის თამაშის დროს აეკრძალოს სათამაშო სივრცეში ყოფნა 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
3. თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის საშინაო თამაშების დროს აიკრძალოს მაყურებელთა დასწრება 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
4. თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის საშინაო თამაშების დროს პირობითად აიკრძალოს მაყურებლთა დასწრება 2024-2025 წლის სათამაშო სეზონის ბოლომდე. რაც გულისხმობს, რომ ანალოგიური დარღვევის შემთხვევში აიკრძალება თბ „არმია“-ს „ბ“ ლიგის გუნდის საშინაო თამაშების დროს მაყურებელთა დასწრება 2024-2025 წლის სათამაშო სეზონის ბოლომდე.
5. კლუბი თბ „არმია“ დაჯარიმდეს 2 000 (ორი ათასი) ლარით და საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.
6. საჯარიმო თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თბ „არმია“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დაეკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.
7. თბ „ხვამლს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 თბ „ხვამლი“-ს სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	07/02/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf